№ 28
სამშაბათი, 7 თებერვალი 1895

1877—1895

# ივერია

№ 28
სამშაბათი, 7 თებერვალი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ვქობულაშვლისა, 17.

(15—4)

## წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

(3—6—3)

## აბრეშუმის ჭიის თესლი.

ეს თესლი მიღებულია იმ აბრეშუმის ჭიისაგან, რომელიც მოშენებული იყო თავ. ჩოლაყაშვილის მამულს „ჭიაურში“ და მისი კეთილრიგიანობა შემოწმებულია ტფილისის საბრეშუმო სადგომის მიერ. მისხალი ღირს 60 კ. და ისყიდება ა) ტფილისში 1) კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში, და 2) კავკასიის საბრეშუმო სადგომში. ბ) თელავში ქ-ნ ა. ნ. ყაზახოვთან და გ) ლაგოდეხში თავ. დიმ. ერ. ჩოლაყაშვილთან.

(1—953—1)

## ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 8 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ბენეფისი ს. პ. სვიმონიძისა

ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, ავალიშვილისა, ბ-ნთ ყიფიანისა და აბაშიძის მონაწილეობით

I

**დ ა - ძ მ ა**

დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი

II

**ძღვენ-კანცთან**

ვოდევილი 1 მოქ. მისივე.

მონაწილეობას ღებულობენ: გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, და სხვ. ბ-ნნი: ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“ დრ. 4 მოქ. და „ცოლი-მეუღლე“ დრამა 4 მოქმედ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

(2—1)

შაბათს, 11 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის დასის“ მიერ წარმოდგენილ იქმნება მეორედ

ამ სეზონში

**სამშობლო**

დრ. 5 მოქმ. თ. დ. ერისთავისა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

მონაწილეობას ღებულობენ ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტნი ქალნი და კაცნი. დაწვრილებით აფიშებში იქნება გამოცხადებული.

# ახალი ამბავი

*** დაიბეჭდა და გამოვიდა პატარა წიგნაკი „სარდლის კოშკი“ ისტორიული პოემა თავ. იასონ ციციშვილისა. ლექსათ მოთხრობილია ციციაანთ სარდლის კოშკის ამბავი და ის ხანა, როცა გამოჩენილი სარდალი ზაზა ციციშვილი სცხოვრებდა. მეფის თეიმურაზის ბრძანებით აუშენებია ეს კოშკი ციციშვილს, რომლის ნაშთიც დღევანდლამდე სჩანს სოფ. ქარელში.

წიგნაკი დაბეჭდილია ჩარკვიანის სტამბაში სუფთად, შეიცავს 16 გვერდს და ღირს 5 კაპ.

*** რომ სხვებმა აღარ სთარგმნონ, ამიტომ ვაცხადებთ, რომ რუსული სახალხო საკითხავი წიგნი „დიოგენი“ ქართულად უთარგმნია გიორგი მარგალიტაძეს, რომელსაც მთარგმნელი დაჰბეჭდავს ცალკე წიგნად. ლერმონტოვის პოემა „ორშა“ სთარგმნა მხარგძელიშვილმა და ეს უკვე იბეჭდება, ამ დღეებში გამოვა.

*** ამ 30 წლის წინად პატივცემულმა ბ-ნ იაკობ გოგებაშვილმა დასტამბა საქართველოს რუკა (კარტა), რომელიც იმ დროს ქართველთაგან თუმც სიამოვნებით იქმნა მიღებული, მაგრამ იგი მალე მაინც ვერ გასაღდა. ახლა როგორც გვესმის, ასეთი ქარტა საკმარისად საჭირო ყოფილა ჩვენში და ის რუკა, რომელიც «ბუნების კარის» ბოლოშ ა მოქცეული, სანატრელია, რომ ცალკეც იყოს დაბეჭდილი სქელს ქაღალდზედ და საყოველთაოდ გასასყიდად მოიპოვებოდეს, რადგანაც ჩვენს ხელოსნებში, რომელთაც სახალხო სკოლებში მიუღიათ სწავლა, დიდად ენატრებათ, რომ სახლში კედელზედ საქართველოს რუკა ჰქონდეთ ჩამოკიდული. იმედია, რომ ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი, ეს ყველა საქართველოს საქმეებისათვის თავ-დადებული და უანგარო მოღვაწე, მალე ამ რუკას ხელმეორედ დასტამბავს.

*** კვირას, 5 ამ თვეს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში წლიური აქტი იყო, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. პირველი საათი შესრულდა, როცა ლამაზად მორთულს დარბაზში მივიდნენ მთავარ-მართებელი კავკასიისა, გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი და მისი მეუღლე; მთავარ-მართებელს დაუხვდნენ სასწავლებელში მისი თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი მეუღლითურთ, ტფილისის გუბერნატორი, თავ. შერვაშიძე მეუღლითურთ, სომეხთა ეპისკოპოსი სურენიანი და სხვანი მრავალნი. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში შემოვიდნენ ეპისკოპოსნი: გორისა ალექსანდრე და ალავერდისა ბესარიონი.

აქტი დაიწყო მოსწავლე ქალთა გუნდის მწყობრის გალობითა და სიმღერით, აგრეთვე როიალსა და სკრიპკაზედ დაუკრეს უფროს კლასების მოსწავლე ქალებმა, რომელთა შორის, სამწუხაროდ, არც ერთი ქართველი არ იყო. ჩინებული შთაბეჭდილება მიიღო დამსწრე საზოგადოებამ, როგორც მუსიკის ასრულებით აგრეთვე ქალების ხელ-საქმის ნახვით. მეორე დარბაზში გამოფენილი იყო მშვენიერი ნაქსოვ-ნაკერი მოსწავლე ქალთა და მშვენიერის ხელოვნებით ტუშითა და ფერადებით სხვა-და-სხვა სურათები ტილო-ქაღალდზედ და საინებზედ დახატული.

აქტის დასასრულ საუკეთესო მოსწავლეთ საჩუქრები დაურიგეს როგორც იმათ, ვინც ამ სასწავლებელ-

# ფელეტონი

## ქალწულს N-ს

რად ამბობ, ტურფავ, არვინ მიყვარსო?
გზვერავდი—განსხე საწყალობელი:
ღვთის-მშობლის ხატ-წინ დაჩოქებულსა
ცრემლი გდიოდა შეუშრობელი;
გულის სიღრმიდგან ამოგტიროდა
სევდა-ნაღველი მოუთხრობელი,
მაღლა აღგეპყრო შავი თვალები,
გულის წარმტაცი, ლახვარ-მსობელი,
ფიქრსა და ნაღველს მთლად მოეღრუბლა
ეგ შენი სახე მანათობელი,
ტრფობის ქვითინით ღმერთს ავედრებდი,
ვინცა გულისა გულის მფლობელი!..
გიშრის თმა სშირად გეფინა მხრებზე,
მაგ ლერწამ ტანის შემამკობელი
დაგვიწყებოდა მთელი ქვეყანა,
ის-და გახსოვდა გულის მპყრობელი,
შენი სიცოცხლე და ნეტარება,
შენი სამოთხე ჯერ უცნობელი!
ოჰ, რომ ენახე მაშინ პოეტსა,
აღელდებოდა მაღალ-მგრძნობელი,
ქღერას აწყობდა იმისი ჩანგი,
ქვეყნის გულ-გონის დამატკბობელი,
ცაურის სმებით მკვდრისაც აღმდგენი,
სალ-ტინისაც დამადნობელი;
შენ მოგიძღვნიდა ქებას უკვდავსა
მას სიმთა ქღერა დაათრობელი
და იგი ქება გაგიხდებოდა
მეგლი ვერვისგან დასამსხობელი!...

დ. მაჩხანელი

## თამრო გაგიჟდა?!.

(მოთხრობა).

საბრალო ქალი, რა მალე მოტყუვდა! ვფიქრობდი თავ-ჩაღუნული.

ძალიან ძნელი საქმე შეჰმთხვევია საცოდავს ქალს! მაგრამ თავისი ბრალი ხომ არ არის? სხვამ შეაცდინა გულ-მართალი და მინდობილი! სხვამ მოუწამლა სიცოცხლის წუთი!

ნეტავი-კი მენახა სადმე კიდევ-და: ნუ თუ მართლა ჭკუაზედ შესცდა?

ღმერთო ჩემო! ამას როგორ-ღა მოვიფიქრებდი! მერე ვისგან? ვისი წყალობით მისულა საბრალო თამრო ამ მდგომარეობამდის? ნუ თუ იმ კაცისგან, რომელსაც პატივსა ვცემდი, რომელიც დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც სხვა-და-სხვა სიმართლეს ჰქადაგებდა და ჰკიცხავდა დამჩაგვრელებს საწყლისას, ულონო კაცისას? განა ეს პატიოსნების მქადაგებელი, ეს ლიბერალი, ფილანტროპი ბრძანდება ამ საზიზღარის საქმის ჩამდენი?

არა! ტყუილად მოუგონიათ! ის როგორ ჩაიდენდა ამ საქმეს? უეჭველია, შესცდა და ვერა გაიგო-რა ვისზედ მელაპარაკებოდა? აბა, მაშ რა დასაჯერებელია?

მე-კი არა მჯეროდა, მაგრამ გული თავისს ალაგას აღარა ჩერდებოდა: მეშინოდა, როდესაც მაგონდებოდა ძველი ანდაზა: „გველი გარედგან არის და კაცი შიგნიდგან ჭრელიო“.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ძალიან ჩამაფიქრა, თავს-ბრუ დამახვია. გაოცებული დიდხანს ვერ გამოვერკვიე ამ მდგომარეობიდგან და გიჟსავით ვიმეორებდი ამ სიტყვებს: „თამრო გაგიჟდა?!.“

ვიღამაც მხარზედ ხელი დამადო. შევხედე,—ჩემ წინ ჩემი მეგობარი იდგა.

— მატარებელი, როგორც ეტყობა, უფრო იგვიანებს,—მითხრა მან.

— დაგვიანება მეტი უნდა, ვუპასუხე მე,—ათი წუთია თორმეტისა და ჩვენ-კი ცხრა საათზედ უნდა გავსულიყავით ქალაქიდგან?

მგზავრები მატარებელს მოუთმენლად ელოდნენ; სადგურის წინ სკამებზედ ჩამომსხდარიყვნენ და მოწყენილები მისჩერებოდნენ სხვა-და-სხვა საგნებს. ზოგი ამათგანნი ლოდინით მობეზრებულნი ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილნი ლაპარაკობდნენ.

ერთს წამს რაღაც სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ სიჩუმემ: ისევ მალე შეირყა ჰაერი და უფრო ძლიერი ალიაქოთი და ჟრიამული ასტყდა ხალხში,—ყველა თავისს ბარგს ავლებდა ხელს. ზოგი მოსამსახურეს უთითებდა. მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა.

— წავიდეთ, ჩვენც ჩვენი ბარგი მოვამზადოთ შესატანად, მითხრა მეგობარმა.

— წავიდეთ, ვუპასუხე მე.

ბარგი ვაგონში ავატანინეთ და თავისუფალს ალაგს ვეძებდით დასაჯდომად.

— აბა, აქ სჯობიან: უფრო ხალვათობაა, მგონი, მითხრა მეგობარმა.

ბარგი დავაწყეთ და დავსხედით.

წამსვლელი ხალხი ვაგონებში დაბინავებულიყო. ლოკომოტივმა დაიწივლა, შეინძრა და ჯერ ნელ-ნელა გასწია, მერე თან-და-თან მოუმატა სიარულს. ხუთის წუთის შემდეგ სადგური აღარა სჩანდა.

მე და ჩემმა მეგობარმა ლაპარაკი დავიწყეთ, მაგრამ მანამ ჩვენს ლაპარაკს გადმოგცემდე, ჩემო მკითხველო, ნება მიბოძე, თვით ჩემი მეგობარი გაგაცნო.

ჩემი მეგობრის სახელი არის ნიკო, გვარი ურცხვაძე სოფ. დავიწყებულიდგან. მამა ამისი, როგორც თვითონ ამბობდა, წინად კარგად ყოფილიყო, მაგრამ ჟამთა ვითარებას შეეცვალა იმისი ცხოვრება. შთამომავლობით აზნაურშვილი იყო. რადგან ძველებურად ვეღარ სცხოვრებდა, ამიტომ თავისს ეხლანდელს შეძლებას სიღარიბეს ეძახდა.

ნიკო ათ წლამდის ფუფუნებაში იზრდებოდა; ამ დროს დედა მოუკვდა და თან-და-თან ამისს ფუფუნებას მზრუნველობა მოაკლდა. აგერ თერთმეტის წლისა ხდებოდა, მაგამ ამისთვის სწავლაზედ არავინ ჰფიქრობდა.

ერთს დღეს მამა თურმე მიუახლოვდა ნიკოს და უთხრა:—ახლა-კი დროა, შვილო, შენი სკოლაში მიბარებისა. იმედი მაქვს, ეცდები და და კარგად ისწავლი, ვინძლო ეცადო და სწავლა გამოიტანო, რომ ჩვენი ოჯახი შენ მაინც დააყენო ფეხზედ; ხომ ჰხედავ, შვილო, დრო გამოიცვალა და ჩვენის შემოსავალით წინანდებურად ვეღარა ვცხოვრობთ? მეც მოხუცებაში მივდივარ და თუ შენი არა, სხვისი იმედი როგორ უნდა მქონდეს? შენ ხარ ჩემი უმცროსი და

ში საუკეთესოდ სწავლა დაასრულა, ისე იმაათაც, რომელთაც კლასიდგან კლასში გადასვლის დროს უფრო მეტი მეცადინეობა გამოიჩინეს შარშან. ამათ სიას ხვალ დავბეჭდავთ.

*** ხვედურეთი (გორის მაზრა): აქ მღვდლად გაამწესეს მამა იასონ ოქროპირიძე, რომელიც აქამომდე დუშეთის მაზრაში ბლაღოჩინად იყო. იგი ცნობილია, როგორც უანგარო მწყემსი და სამაგალითო მოძღვარი. ხსენებული მოძღვარი აპირებს ხვედურეთში საეკკლესიო სამრევლო სკოლის დაარსებას.

*** სოფ. ხორითი (შორაპნის მაზრა): აზ. ასათიანებს ჩხუბი მოუვიდათ სამს ძმა მჭედლიშვილებთან ტყეში; ერთმა გლეხთაგანმა სასიკვდილოდ დასჭრა სამი აზნაური და თითონაც მძიმედ არის დაჭრილი. ჩხუბი გამოუწვევია შურის-ძიებასა და მტრობას გლეხებსა და აზნაურთ შორის სადავო ტყის გამო, რომელიც სასამართლომ გლეხებს მიუსაჯა.

*** ერთა-წმინდა (გორის მაზრა): აქაურმა მღვდელმა მამა გარგარეთელმა საეკკლესიო სამრევლო სასწავლებელი დაარსა. დღეს ოც-და-ათი მოსწავლე სწავლობს ამ სასწავლებელში. სოფელ ვარიანშიაც ამ მოკლე დროში დაარსდება სასწავლებელი.

*** დ. ხონი: ამ ორის წლის წინად აქაურის ორ-კლასიანის სასწავლებლისათვის გამოიწერეს სხვა-და-სხვა გვარი სამუსიკო საკრავები, რომელიც შვიდას ორმოც-და-ათ მანეთამდე დაგვიჯდა აქაურს მცხოვრებლებს. მას შემდეგ აგერ მეორე წელიწადი მიდის და მასწავლებელი-კი არა გვყავს. საკრავები დღესაც ბ-ნ გაგუას სახლში ჰყრია და, ვინ იცის, მტვრისა და უხმარებლობის გამო სულ გაფუჭდა! კარგი იქნება აქაურმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და რადგან ხარჯი გასწიეს, მასწავლებელიც მოიწვიონ.

*** საჩინო. ჩვენსკენ მშვენიერი დარებია, ასე რომ ხალხი სამუშაოდ გავიდა მინდვრად. მაგრამ ყველაზედ სასიამოვნო ის არის, რომ ავადმყოფობა არა არის-რა.

*** ქ. განჯა: აქაურს ქართველებს ერთი ქართველი დიდი გულშემატკივარი და პატიოსანი კაცი დაგვაკლდა. ეს გახლდათ იაკობ სვიმონის ძე ნოდია. მართალია იგი ვაჭარი იყო, მაგრამ თავისი ქონება სხვისთვის არ ჰშურდა. მთელის თვეობით ინახავდა აქ ჩამოსულს უადგილო ქართველებს და ყოველს ქართულს საქმეს გულმოდგინედ ეკიდებოდა. ჰქონდა თავისი საკუთარი ქართული წიგნთ-საცავი და ქართულის წიგნის მაღაზიების აგენტად ითვლებოდა, რითაც დიდი სამსახური გაუწია ქართულის წიგნების გავრცელების საქმეს. იაკობის სიკვდილმა ყველას გული დაგვწყვიტა.

*** ს. ვაქარი. ამ დღეებში ბოროტმოქმედებმა ცეცხლი წაუკიდეს ე. ხელაშვილის გომსა და საბძელს. ამ დროს გომში ება ცამეტი სული საქონელი და ორი ცხენი. საქონელი სრულიად დაიწვა. დაიწვა აგრეთვე რამდენიმე ფუთი თუთუნი და მთელის წლის სამყოფი შეშა. ამავე სოფლის მცხოვრებელს მთავარს ხუციშვილს დაუწვეს სათივე. საკვირველი კიდევ ის არის, რომ ხუციშვილს ამ უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში ყოველთვის უწვავენ სათივეს. სწორედ ამაღელვებელია ასეთი სულ-მდაბალი შურის-ძიება.

აქაურმა ღამის რაინდებმა სიცოცხლე გაგვიმწარეს, წვრილ-ფეხიც აღარ შეგვარჩინეს. მაგრამ ამას ვინ ინაღვლებდა, ეკკლესიების გაძარცვისათვის რომ არ მიეყოთ ხელი. ამ დღეებში გასტეხეს ვაქარის ნათლის-მცემლის ეკკლესია და ფული გაიტანეს. საკვირველი ის არის, რომ ამ ქურდობამ შეუმჩნევლად ჩაიარა, ასე რომ არამც თუ ბოქაულს თვით ბლაღოჩინსაც არ გაუგია.

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის" 27 №-ში ახალს ამბებში შეცდომით დაბეჭდილია: „უდანაშაულოდ დასჯილნი" დრამა ზუდერმანისა"... უნდა იყოს: „უდანაშაულოდ დასჯილნი" კომ. ოსტროვსკისა".

## რედაქციის შენიშვნა.

ამ დღეებში ჩვენ დავსტამბეთ კორესპონდენცია, რომლითაც ავტორი შეეხება ბ-ნ ნ. ნიკოლაძის პროექტს მდ. სუფსისა და რიონის შეერთების შესახებ. სხვათა შორის ამ კორესპონდენციაში იყო ნათქვამი: „ამისათვის თვრამეტი ვერსის მანძილზედ უნდა გაიჭრას არხი და ეს ადგილი თვით ქ. ფოთმა უნდა შეისყიდოს თ. გურიელთაგანაო".

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა: სუფსასა და რიონის შორის სულ 12 ვერსის მანძილია; ამ ორს მდინარეს შორის ორს სხვა მდინარეს დაუჭერია ადგილი—კაპარჭასა და მალთაყვას. არხის გაჭრა სულ ოთხის ვერსის მანძილზეა საჭირო და არა თვრამეტისაზე. თთ. გურიელთათაგან შესასყიდი იქნება მხოლოდ ასი დესიატინა მიწა არხის გასაყვანიდ, რომელიც, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, 400—500 თუმანი დაჯდება, რაიცა შეეხება იმას, თუ რა მდგომარეობაში არის დღეს ფოთის ნავთ-საყუდელის საქმე და მართლა გადასდო თუ არა მმართველობამ იმის გასაკეთებლად ოთხი მილიონი, როგორც შარშან გაზეთებმა გამოსთქვეს,—ეს გარემოება უტყუარად იყო აღნიშნული ბ-ნის წულაძის უკანასკნელ კორესპონდენციით; გარდა ამისა „ივერიის" 27 №-ში მკითხველი ამ საგნის შესახებ წაიკითხავდა ოფიციალურს მოწერილობას კომისიისაგან ბ-ნ ფოთის მოურავის ნიკოლაძისადმი.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ბებნისი,** (გორის მაზრა). წარსულს ზაფხულში ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა ჩვენში. ს. ქარელში მცხოვრებმა გლეხმა გ-ი ძალაყინმა (იგივე ბაქრაძეა) ჩვენებურს წისქვილში მიიტანი ერთი ტომარა ქერჭრელი (პური) დასაფქვავად. იმავე დროს იმავე წისქვილში წყობილა აქაურის გლეხის ი. არდემანაშვილის ტომრები პურით. იმავე წისქვილში აქაურსავე გლეხს გია დემეტრაშვილსაც გადუტანია ერთი ტომარა პური. მეწისქვილეს სამთავეს საფქვავები დაუფქვავს და დაუდგამს წისქვილში. გ. დემეტრაშვილს გაუგზავნია წისქვილში საფქვავის გადმოსატანად თავისი ძმა, რომელსაც შეცდომით წაუღია გ. ძალაყინას ფქვილის ტომარა. შეუმჩნევია თუ არა გ. დემეტრაშვილს თავისი ძმის შეცდომა, მაშინვე სასანიტარო კომისიისათვის (აგერ წელიწადი სრულდება, რაც ეს კომისია გვყავს) უცნობებია, ჩემმა ძმამ ამა-და-ამ ნიშნის ტომარა შეცდომით გადმოიტანა წისქვილიდგან და ვისიაო. ი. არდემანაშვილს გამოურთმევია ეს ვითომ და თავისი ტომარა, წაუღია და თავის ტომრებაინათ გაუყიდნია ქ. გორში. გ. დემეტრაშვილს-კი თავისი ტომარა წისქვილიდგან სახლში გადუტანია. მოსულა გ. ძალაყინი წისქვილში, სადაც მოუკითხნია თავისი ტომარა. მეწისქვილეს უთქვამს: შენი ტომარა, გია დემეტრაშვილმა წაიღო და არ ვიცი რა უყოო. გ. ძალაყინს უჩივლია დემეტრაშვილისათვის სოფლის სასამართლოში, რომელსაც უკანასკნელი ბრალდებულად უცვნია და ფქვილის ღირებულების გარდახდა მიუსაჯია. გ. დემეტრაშვილს თავის მხრით უჩივლია ი. არდემანაშვილისათვის იმავე სოფლის სასამართლოში, რომელსაც საქმის გარჩევა მიუნდვია სასანიტარო კომისიისთვის; უკანასკნელმაც აგერ ამ დღეებში მიუსაჯა არდემანაშვილს დანაკარგის ნახევარის ფასის გარდახდა.

საუცხოვო გარდაწყვეტილებაა უკანასკნელი მაინც, მაგრამ როგორღაც არ ეთანხმება სასანიტარო კომისიის პირობის წერილის ერთს მუხლთაგანს, რომელიც გულ-წრფელად და თავგანწირულებით ჰლაღ დებს სოფლის წინაშე: „ამორჩეულთ კაცთ უნდა განსაჯონ ყოველივე ამ სოფლის (ბებნისის) საქმე კეთილ-სინდისიერად."

ვიმედოვნებთ, რომ ს. ბებნისის სანიტარო კომისია ამას იქით უკეთესს კეთილ-სინდისიერს საქციელს იქონიებს სოფლის საქმეში.

ტეტია—გლეხი.

**განჯა.** შაბათს, ოც-და-რვა იანვარს, პატივცემულის ქ-ნ ყანჩელის თაოსნობით განჯის საკრებულო დარბაზში გაიმართა ქართული საღამო, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. საღამო აქ მეორედ გაიმართა და დიდი ყურადღებაც დაიმსახურა. საკრებულო დარბაზის სივიწროვის გამო ბევრი ვერ ეღირსა, დამტკბარიყო ამ საღამოთი. დარბაზის სივიწროვის გამო-მეთქი მოგახსენეთ, მაგრამ ეს სივიწროვე მხოლოდ მაშინ ემჩნევა, როცა ქართული საღამო იმართება, თორემ რაც უნდა გამოჩენილმა მსახიობმა აუწყოს საზოგადოებას საღამოსი ანუ წარმოდგენის გამართვა, კარგია თუ ნახევარი ბილეთები გაიყიდა, მაშინ როდესაც ქართულს საღამოზე იხვეწებიან, ოღონდ შეგვიშვით, ფეხზედ ვიდგებით, დაჯდომას ვინ სჩივისო. ამ საღამოზედ დასასწრებად სხვა-და-სხვა ქალაქებიდგანაც ჩამოსულიყვნენ. ჩვენ ვნახეთ აქ მოსულნი შუშიდგან, აჯიქაბულიდგან, ალსტაფა-ტაუზ—ძეგამის სადგურებიდგან და ტფილისიდგან. აქ ხმა გაავრცელეს, ვითომ ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი აპირებს ჩამოსვლასა, მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა და განჯელები ძვირფასის პოეტის ნახვას ვერ ვეღირსეთ.

საღამო იყო გამართული საქველმოქმედო აზრით და შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან: 1) ითამაშეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთ მსახიობის ქალის გაბ.-ცაგარლის მონაწილეობით ა. ცაგარლის კომ. «ხანუმიდგან» პირველი ორი მოქმედება.

გაბუნიას ქალმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანუმას როლში დიდად ასიამოვნა საზოგადოება და ჩვენ-და სასიამოვნოდ დანარჩენებიც კარგს ანსამბლს უწევდნენ; საქმის ცოდნა ეტყობოდათ, როლი კარგად დაესწავლათ და წარმოდგენამაც ჩინებულად ჩაიარა. კარგი იყო ქაბა-

---

გამბედნიერებელი შვილი, შენგან მოველი სიკეთეს.

ამნაირი დარიგება მისცა მამამ ნიკოს და გარდასწყვიტა შვილის სკოლაში მიბარება.

ამ დარიგების შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ერთს დღეს, საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც ნიკო და მისი მამა ქ. ციხიანში შედიოდნენ, სადაც მამას ნიკო უნდა მიებარებინა ერთ-ერთს აქაურ სასწავლებელში.

საქმე კარგად მიდიოდა. ნიკოს ჰპირდებოდნენ სკოლაში მიღებას.

ნიკოს მამა ზაქარია და ნიკოც გულის ძგერით ელოდნენ ამ სანატრელს დღეს. ბევრი ლოდინი არ დასჭირებიათ, ნიკოს გამოუცხადეს: „მიღებული ხარ და საჭირო წიგნები შეიძინეო". აღტაცებული ნიკო გამობრუნდა და იქავ მომლოდინე მამას ახარა, რომ მიღებული ვარო.

სახე გაბრწყინვებული მამა აღტაცებაში მოვიდა ნიკოს ბედნიერებით.

ზაქარიამ მალე დააბინავა თავისი შვილი და მორჩა. თუ არა ამ საქმეს, მხიარულად გამოესალმა თავისს შვილს და სოფლისაკენ გასწია; წასვლის დროს რამდენიმე დარიგება მისცა და გაუდგა თავისს გზას.

გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები და ნიკო უფრო-და-უფრო მეცადინეობდა, ნიჭს აჩენდა სასწავლებელში. მასწავლებლებმა მალე შეიყვარეს და მოსწონდათ, რადგან კარგადა სწავლობდა და სასწავლებელშიაც ჭკუიანად იქცეოდა. ოთხმა წელიწადმა მალე გაირბინა. მასწვლებლები ნიკოს პირველ შეგირდათ სთვლიდნენ მესამე კლასში. ნიკომ, მესამე კლასში რომ გადადიოდა, უფრო მეტი მეცადინეობა დაიწყო და მალე სამაგალითოც გახდა ყველასათვის. აი, მეოთხე კლასშიაც გადაიყვანეს და პირველ შეგირდათ გაათავებდა, მაგრამ ამ დროს ცოტა უკლო სწავლას. ამხანაგებს უკვირდათ, რომ ნიკო ისე აღარა სწავლობდა, როგორც მესამე კლასში, მაგრამ ვერავინ მიმხვდარიყო ამის მიზეზს. ამხანაგებმა მიზეზის გაგება განიზრახეს. დიდს ხანს არ მოუნდნენ ამას. ნიკოს გაეცნო ერთი ახალგაზდა ქალი, თორმეტ-თხუთმეტის წლისა, ლამაზი, კოხტა და ცქრიალა. დაიარებოდა ამ ქალთან ჯერ კვირაში ორჯელ-სამჯერ და მერე ყოველ-დღეც დაიწყო იმასთან სიარული. აქედგან კიდევ სხვა ქალები გაეცნო და ხშირად მთელი დღეებით ერთობოდა თურმე იმათში.

აი ის მიზეზი, რომელმაც უკან დასტოვა ამხანაგებისაგან და თავისი პირველობა სწავლაში სხვისთვის დაათმობინა; თითონ სრულიად უზრუნველი დარჩა პირველ შეგირდობაზედ. ეხლა ნიკოსთვის ის-ღა იყო საფიქრებელი, რომ ქალებთან გაეტარებინა საღამოები და განსაკუთრებით პირველად გაცნობილ ქალთან ესაუბრა...

ნიკომ გაათავა ოთხ-კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ პირველ შეგირდად-კი არა, როგორც ჰქონდათ იმედი.

გაათავა, მოწმობა მიიღო, მაგრამ არ იცოდა რა ექმნა, რა გზას დასდგომოდა, რა საქმისთვის მოეკიდნა ხელი? „წავიდე სოფელში?—ამბობდა. იქ როგორ გავძლო? სამსახურში შევიდე? ამ სწავლით რა ალაგს მომცემენ? ან როგორ უნდა ვიცხოვრო?"

კარგა ხანს იყო ფიქრებით გატაცებული, მაგრამ გარდაწყვეტით-კი ვერა ეთქვა-რა, რომელი გზა უნდა ამოერჩია. „განვაგრძო სწავლა? კარგი, მაგრამ, სულ ცოტა რომ ვთქვა, ოთხი წელიწადი მაინც მინდა გათავებამდის, რომ გადავწყვიტო .სწავლა, მამაჩემს დავიყოლიებ-კი? რაც იქნება, იქნება, უნდა განვაგრძო სწავლა და მამაჩემს დახმარებას ვთხოვ კიდევ ოთხს წელიწადს. მერე რაღა მიჭირს? ვიშოვნი კარგს სამსახურს, მამაჩემსაც დავეხმარები და ჩემს თავსაც კარგად შევინახავ",—იმეორებდა ნიკო.

ზაქარიამ, გაიგო თუ არა ნიკოს სასწავლებლის გათავება, გამოსწია თავისის შვილის სანახავად. მამა თვალებში შესცქეროდა ნიკოს; სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ეთქვა.

— გაათავე, შვილო? ეკითხებოდა მამა.

— გავათავე. მოწმობაც მივიღე სასწავლებლიდგან, უპასუხა ნიკომ.

— პირველ შეგირდათ გაათავე განა? შეეკითხა მამა.

ნიკომ თავი ჩაღუნა, სახეზედ სიწითლემ გადაჰკრა. ვეღარ მოახერხა, რა ეთქვა მამისთვის. მოეტყუებინა და ეთქვა «ჰოო», მერე რომ ეჩვენებინა ვისთვისმე მოწმობა? რაღა ჰქონდა ამის გასამართლებელი საბუთი? არადა—მაშ რა ეთქვა? დიდხანს გაჩუმებული იყო ამ ტანჯვა წვალებაში.

მამას უკვირდა: რა ემართება ჩემს შვილსა, ან რადა წითლდება, ან რად გაჩუმებულა და პასუხს არ მაძლევსო.

როგორც იყო მოახერხა და უთხრა:

— მეხუთე შეგირდათ გავათავე.

მამის ყურებს უსიამოვნოდ ჩაესმა ნიკოს სიტყვები. მხიარული სახე უცბად შეეცვალა ზაქარიას. გაიფიქრა: აქ რაღაც მიზეზი უნდა იყოს, თორემ მეხუთე შეგირდათ არ გაათავებდა, იმიტომ რომ «პირველი ვარო», ასე არა მწერდა? განა მას აქეთ დიდი ხანია? მახსოვს უკანასკნელს წერილში ასე მწერდა: «იმედი მაქვს პირველ შეგირდათ გავათავებო». ეხლა რაღა დაემართა, ამ სიკეთის დროს?

თუმცა მამა ამ ამბით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ის უფრო მეტად აწუხებდა, რომ ვერ მიმხვდარიყო ამის მიზეზს. ბევრი იფიქრა, ეცადა გაეგო, მაგრამ მიზეზი მაინც ვერ შეიტყო.

ნიკომ მოახერხა, სხვა-და-სხვა მიზეზებით აეხსნა ასეთი შემთხვევა.

საღამოს მატარებელი მიაქროლებდა მამა-შვილს; თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც თავიანთს სოფელში შევიდნენ.

ნიკომ დიდ-ხანს არ დაჰყო სოფელში. სულ ერთს თვეს დარჩა და, რადგან მამა სწავლის გაგრძელებას დაჰყაბულდა, ამიტომ აშურებდა ქალაქ აშენებულში წასვლას, სადაც რომელიმე საშუალო სასწავლებელში უნ-

ტუას როლში ქ-ნი ბ. მირიანაშვილისა, კნიაზ ვანოს როლს თამაშობდა ბ-ნი მ. ფურცელაძე და როგორც შარშან ბაიყუშში ისე წრეულსაც კარგად აასრულა, ბ ასე წარმოდგინეთ ალაგ-ალაგ ყიფიანიც-კი მოგვაგონა. სონას როლი ჰქონდა ბ. ფურცელაძის ასულს თამარს, რომელსაც მშვენივრად დაესწავლა და ისე თამამად ეჭირა თავი სცენაზედ, რომ მეტი სასურველიც არ იყო. ქ-ნს ნ. ბაქრაძისას, რომელმაც შარშან ხელოვნურად ითამაშა თალიკოს როლი, წრეულს შესაფერი როლი არ ჰქონდა და თამაშობდა მოხუც სარას როლს, რომელშიაც დაგვიყენა თვალწინ ნამდვილი მოხუცი. მერე ვინ? იმან, ვინც შარშან ცქრიალა გასათხოვარი ქალის როლში დიდი ყურადღება დაიმსახურა—წრეულს-კი მშვიდი წყნარი მოხუცი დაგვისურათა.

ბ. ლორის-მელიქოვმა აკოფას როლში სწორედ ისახელა თავი და საზოგადოებაც ბევრი აცინა. ეს მეორედ გამოდის ქართულს სცენაზედ და დიდი ნიჭიც ეტყობა, რომ სცენაზედ ძალიან არ ჰყვიროდეს. თუ ნ. ბაქრაძისამ ხელოვნურად ჩაატარა თავისი როლი, არც ქმარი ნ. ბაქრაძესი ჩამოჰრჩა უკან გლეხის ტიმოთეს როლში, კარგი იყვნენ აგრეთვე ბ-ნ ა. ქართველიშვილი მიკიჩას როლში (ძლიერ დრამატიზმობდა), ბ-ნი უზნაძე კოტეს და თეკლეს როლში. 2) იმღერეს სხვა-და-სხვა ქართული სიმღერეები ადგილობრივ სიმღერის მოყვარულთაგან შემდგარმა გუნდმა ბ. ბეჟანიშვილის მეთაურობით. სწორედ სასიამოვნო სურათი გამოჩნდა, როდესაც ფარდა ასწიეს: რვა ქართულ-გურულ-მეგრულად ჩაცმულ-დახურულ მანდილოსნებს შემოჰხვეოდნენ ქართულის ქულაჯებითა და გურულად ნაირ-ნაირის ტანისამოსით გამოწყობილი ყმაწვილები; შუაში იდგა თვით ლოტბარი ბეჟანიშვილი მშვენიერის ქართულის ტანისამოსით მორთული.

გამოჩნდა თუ არა სცენაზედ ეს წარსულის მომაგონებელი და ბევრრამეს გამომხატველი სურათი, გაისმა საზოგადოებაში დაუსრულებელი ტაში კვრა და ვაშას ძახილი. თითქმის ყველა სიმღერეების გამეორება მოსთხოვეს და ბევრი დანიშნულზედ მეტიც იმღერეს. დიდი მადლობის ღირსია მთელი მომღერალთა გუნდი და განსაკუთრებით-კი ბ-ნი ბეჟანიშვილი, რომელსაც ხელოვნურად გადაება ერთი სიმღერა მეორეზედ, რითაც დიდი შნო ეძლეოდა სიმღერებს; განსაკუთრებით კარგა იყო სცენაზე ფერხული, სადაც მშვენიერს სიმღერაზედ ითამაშეს გაბუნია-ცაგარლისამ და განგებ ამ საღამოსთვის სათამაშოდ შუშიდგან მოწვეულმა ბ-მა გურამიშვილმა.

3) მესამე განყოფილებაში გაიმართა ადგილობრივ-ევროპიული ცეკვა-თამაში, რომელმაც გასტანა სამ საათამდის; სამ საათზედ-კი გაიმართა საერთო ვახშამი წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთათვის და საპატიო სტუმართათვის, რომელზედაც დიდად ასიამოვნა საზოგადოება ვაბუნია-ცაგარლისამ თავისის მოხდენილის სიმღერით. ამ რიგად ნასიამოვნები საზოგადოება დილის ექვს საათზედ დაიშალა. ამ საღამოს გამართვისათვის ბევრს ეკუთვნის მადლობა; განსაკუთრებით მადლობის ღირსია ბ-ნი მიტკევიჩი, რომელმაც შარშანაც და წრეულაც მშვენიერად მორთო კლუბის დარბაზი. ხალიჩებისა და კავკასიურ სხვა-და-სხვა იარაღების გარდა ყურადღებას იზიდავდა კედელზედ მშვენიერის ქართულის ასოებით დაწერილი: გ-ა-მ-ა-რ-ჯ-ო-ბ-ა—, რომლის ასოები იყო გაკეთებული ფერად-ფერადის ფოთლებ-ყვავილებისაგან. წარმოდგენიდგან შემოსავალი რვაას მანე-თამდის ადის, ხარჯი-კი ორასი მან. იყო. დანარჩენი მესამედი არის ადგილობრივ წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ და ორი წილი გარდაეცემა მომავალ ქართულ დედათა სკოლის კომიტეტს.

ვისურვოთ, რომ ამ ნაირი საღამო თუ ორი არა, თითო მაინც მუდამ წელს გაიმართოს ხოლმე.

დამსწრე.

## რუსეთის ცხოვრება.

—

როგორც იწერებიან ვარშავიდგან, ძლიერ შევიწროებულს გარემოებაში ყოფილან იქაური უნივერსიტეტის პროფესორები. იმას გარდა, რომ ესენი ორგვარ ჯაფას ეწევიან, არც იმ ჰონორარს აძლევენ თურმე ლექციებში, რაც გადაჭრილია სხვა უნივერსიტეტებში. ამითი აიხსნება რომ კარგი პროფესორები აქ ფეხს ვერ იკიდებენ.

—

უმაღლესად დამტკიცებულ-იქმნა სახელმწიფო საბჭოს ის აზრი, რომ კერძო სამთო მრეწველობის შესახებ გავრცელებულ-იქმნას მეთვალ-ყურეობა და დაარსდეს განსაკუთრებული შტატი დასავლეთის სამთო მმართველობისა.

—

„ბირ. ვედომ." იუწყება, რომ სახელმწიფოს საბჭოს განსახილავად წარუდგენია ფინანსთა მინისტრის მოხსენება გლეხთა სამეურნეო კრედიტის დაარსების შესახებ.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** 26 იანვარს, საფრანგეთის აკადემიაში მიღებულ-იქმნა ამას წინად გარდაცვალებულის ტენის მაგიერი ახალი წევრი აკადემიისა—ალბერ სორელი. აკადემიაში, როგორც ჩვეულებადა აქვთ მიღებული, სორელს ქება უნდა წარმოეთქვა შესახებ ტენისა და ამ გარემოებას მთელი პარისის საზოგადოება დიდის ინტერესით ელოდა. ეს სურვილი მით უფრო დიდი იყო, რომ ახალი წევრი აკადემიისათვის უნდა წარედგინა ჰერცოგ დე-ბროლს—ტენის მიმართულების წინააღმდეგს. პარისის არისტოკრატია სიამოვნებით ელოდა ჰერცოგ აკადემიკოსის სიტყვასაც, რომელიც, რაღა თქმა უნდა, სისტიკად მოექცეოდა გამოჩენილს ტენს. ორთავეს მოლოდინი გაუმართლდათ პარისელებს და მაზარინის სასახლეში 26 იანვარს დიდი დღესასწაული გაიმართა.

თავ-დაჭერილი, ზრდილობიანი, მაგრამ სასტიკი სიტყვა, წარმოთქმული დე-ბროლის მიერ ტენის წინააღმდეგ, არ წარმოადგენდა მაინც-და-მაინც ახალს რამეს, თუმცა ამ სიტყვაში-კი მოყვანილი იყო ყველა ის, რაც გარდაცვალებულ აკადემიკოსის წინააღმდეგ იქმულა ამ ათის წლის განმავლობაში. სამაგიეროდ სორელის სიტყვა უფრო შინაარსიანი და ხელოვნური იყო. სორელი მოწაფე იყო ტენისა და იმისს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია მასთან მეგობრული კავშირი. სორელს საუცხოვოდ აქვს შეგნებული ტენის ხასიათი. ამიტომაც იმისს სიტყვაში ხელოვნურად იყო დასურათებული ტენი. სორელის აზრით ტენი, როგორც რენანი, აღმზრდელად უნდა ჩაითვალოს მე-50 და მე-60 წლების ახალის თაობისა. ტენის გავლენა ერთობ დიდი იყო ყმაწვილ-კაცობაზედაო.

რაც შეეხება ტენის გამოჩენილს თხზულებას „Les origines de la France contemporaine"-ს, აი ამის შესახებ რა სთქვა სორელმა: ეს თხზულება დაწერილი არის 1876 წელს მომხდარ ამბების ზედგავლენით და მას მიზნადა აქვს დაგვანახვოს ძველის დროის ფრანგი ახალის დროის ფრანგად როგორ გარდაიქცა და თვით საფრანგეთიც როგორ ჩავარდა განსაცდელში. როდესაც ტენი საფრანგეთის რევოლიუციის შესწავლას შეუდგა, იგი მაშინ იმას-კი არ აქცევდა ყურადღებას, თუ რითი არსებობდა საფრანგეთი, არამედ იმას, რაც ძირს უთხრიდა მაშინ საფრანგეთსა. იგი საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიას-კი არა სწერდა, არამედ მაშინდელის საფრანგეთის საზოგადოების სულის, პატოლოგიურს მდგომარეობასა. ამ წიგნის წერის დროს ტენს თან-და-თან სიმშვიდე ეკარგებოდა და ამიტომაც იგი, თითქო მომხრეობით არის დაწერილიო და ამ გარემოებამ ხომ დიდი სჯა და აზრთა შეტაკება გამოიწვიაო. როდესაც ტენსა ჰკითხეს: თქვენს წიგნში რად გამოსტოვეთ რევოლიუციის კარგი მხარეებიო, «ეგ ჩემს პროგრამაში არ შედიოდაო»—უპასუხა მან. ბოლოს სორელმა ისიცა სთქვა, რომ ნაპოლეონი საუცხოოდა აქვს ტენს გამოხატულიო, თუმცა ამ გმირის სახე სამუდამოდ უცხოდ დაჰრჩა ტენს—ისევე, როგორც უცხოდვე დაჰრჩა იმას მოქმედება «დამხსნელის კომიტეტისა».

## კავკასიური საღამო ხარკოვში.

—

წელს, 25-ს იანვარს, ქართველთა და სომეხთა სტუდენტებმა ერთად გავმართეთ აქ კავკასიური საღამო ოპერის თეატრში. ეს მეორეჯერ არის, რაც აქ კავკასიურს საღამოს ვმართავთ და საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეპყრობა მას; რასაკვირველია, ჩვენ არც ხარჯს მივაქციეთ ყურადღება და არც შრომა დავიზარეთ, რომ სამერმისოთაც სასურველი ნიადაგი მოგვემზადებინა აქ კავკასიურ საღამოებისათვის: მომღერლებად მოწვეული გვყავდა აქაური ოპერის არტისტები; ხოროს მმართავდა ოპერის ხოროს ლოტბარი ბ. მიკლაშევსკი. სასტუმრო ოთახი მორთული გვქონდა კავკასიურს გემოზედ: ყველა კედლებზედ აკრული იყო სხვა-და-სხვა ფერი ნოხები, რომლებზედაც აქა-იქ ეკიდა ქართული ფარ-ხმალი და სხვა ძველებური იარაღი. მოლოდინი სრულიად გაგვიმართლდა; საღამომ უნაკლულოდ ჩაიარა და საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. ხორომ ქართულ-სომხურის ეროვნულის ტანისამოსით მორთულმა ბ. მიკლაშევსკის ლოტბარობით იმღერა ქართული სიმღერებიდგან „ფაცხა," „ნანა-შვილო" და „მგზავრული," სომხურიდგან-კი—„დზმერ ანცავ," ზეითუნის მარში" და „ზარტირ სირტ იმ ვშტაარ." საზოგადოებამ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია „ნანა-შვილო"-ს, „მგზავრულს,"-სა და "ზარტირ სირტ იმ ვშტაარ"-ს; ეს სიმღერები მისის თხოვნით რამოდენიმეჯერ იქმნენ განმეორებულნი. აქაური ოპერის არტისტმა ქალმა, ქ-ბმა ნეგრინ-შმიდტმა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს საზო-

---

და შესულიყო. რასაკვირველია, ცოტაოდნად მომზადება აუცილებლად საჭირო იყო ნიკოსთვის, რომ ეგზემენი კარგად დაეჭირა.

ივნისი ილეოდა, როდესაც ქ. აშენებულისაკენ წასასვლელად ემზადებოდნენ. ნიკომ მალე იშოვა მასწავლებელი, რომელსაც უნდა მოემზადებინა. მამა გაურიგდა მასწავლებელს და ჩააბარა თავისი შვილი. ეგზემენების დროც მოახლოვდა. ნიკომ თხოვნა მისცა სასწავლებლის უფროსს. დადგა დრო გამოცდისა. ნიკომ ყოველს საგანში გაიმარჯვა და კიდეც მიიღეს სასწავლებელში. დაიწყო სწავლა; ორის წელიწადს საუკეთესო მოწაფეთ ითვლებოდა ამ სასწავლებელში. მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო მეტს ზარმაცობას იჩენდა. მიზეზი ზარმაცობისა აქაც ქალს დაჰბრალდა, რომელსაც ნიკოს გული მიეზიდნა. ნიკო ისე დაუახლოვდა, რომ უიმისოდ ვეღარა სძლებდა; უნდოდა, ყოველს დღეს იმასთან ყოფილიყო, მხოლოდ ის-ღა აგონდებოდა; მხოლოდ ის-ღა იყო იმის გონებიდგან განუშორებელი; სიზმარში და ცხადად ის უდგა თვალწინ. დაავიწყდა თავისი მოვალეობა, თავისი მიმართულება და მხოლოდ ეს-ღა ახსოვდა, ეს «თვალქუჟუნა» სანატრელი არსება.

ნიკოსაგან გაღმერთებულს თვალქუჟუნა ქალს ნინას უწოდებდნენ; ის გიმნაზიის მეექვსე კლასამდე მისულიყო და მეტის სწავლის განგრძობა, იმისის აზრით, საჭირო აღარ იყო ქალისათვის. „ქალმა წერა-კითხვა და რუსული ლაპარაკი ისწავლოს, თორემ მეტი რა საჭიროაო",—იტყოდა ხოლმე ნინა.

ნიკო ბევრჯელ გაიპარებოდა ხოლმე სასწავლებლიდგან ნინასთან. ნინასაც მოსწონდა ნიკო და, უეჭველია, ისიც თანაუგრძნობდა, თორემ როგორ გაჰბედავდა ასე ხშირად ევლო იმათსა და მხოლოდ იმასთან ესაუბრა.

ვაი-ვაგლახით გადავიდა ნიკო უკანასკნელს კლასში. კვირაში ერთხელ ძლივს ამზადებდა გაკვეთილს. ყველამ შენიშნა, რომ ნიკო უწინდებურად აღარ სწავლობდა. დაახლოვებულმა ამხანაგებმა ვეღარ მოითმინეს და ჰკითხეს: ნიკო, რა დაგემართა, რომ ასე ზარმაცობ? კაცო ეხლაა მეცადინეობის დრო, რომ რიგიანი მოწმობა მიიღოს კაცმა. ესეც რომ არ იყოს, რამდენადაც უფრო კარგად ეცოდინება საგნები, უკეთესია"ო! ნიკო ამ სიტყვებს სრულიად მნიშვნელობას არ აძლევდა: ის თავის სატრფოს ფიქრებში იყო გართული და საღლაც შორს, შორს მიაფრენდა ფრთებ-შესხმული ფიქრები. თუ კიდევ სცდიდნენ და შეეკითხებოდნენ მას ამხანაგები, ასე ეტყოდა ხოლმე: "Что Вы надоѣли мнѣ? Вѣдь получу же аттестатъ? პირველად გავათავებ, თუ მესამედ—какъ будто не все-ровно! Аттестатъ есть въ карманѣ?—кончено! სამსახურის შოვნაც ადვილად შეიძლება.

მართლაც-და რა საჭიროა კარგად გაათავებდა, თუ ცუდად? მოწმობას მიიღებს და სამსახურს იშოვის—მორჩა და მოისვენა! სამსახურში-კი სულ სხვა ცოდნა უნდა. რა საჭიროა, კარგად არ იცოდეს ისტორია, გეოგრაფია, ან სხვა რომელიმე საგანი? სამსახურში მხოლოდ წერაა საჭირო.

ნიკო, რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო უახლოვდებოდა ნინას. ბოლოს-კი ისეც დაახლოვდნენ, რომ „თქვენობით" ლაპარაკი „შენობით-ზედ" შეიცვალა.

კვირა დღე იყო. ნიკომ ნინას სახლის კარი შეაღო. სახლში მხოლოდ ნინა დაჰხვდა. ეს შემთხვევა ნიკოს ძალიან ესიამოვნა; აღტაცებულმა მაგრად მოუჭირა ხელი და თვალებში ჩააცქერდა, თითქოს იქ ეძებს რასმეო. გაუბა სხვა-და-სხვა საგნებზედ ბაასი და შემოაღამდათ კიდეცა ამ ლაპარაკში. ნიკო-თან-დათან მხიარულდებოდა: ლაპარაკი თავისუფლად შეეძლო, რადგან ნინას დედა, დები და ძმა არ იყვნენ სახლში; ისინი სტუმრად წასულიყვნენ სხვაგან და ნინა-კი შემთხვევით სახლში დარჩენილიყო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ნიკომ კოცნა განიზრახა და მალეც აასრულა ეს განზრახვა. ნიკოს კოცნამ დაარღვია სახლის სიჩუმე.

ნინა ამ მოულოდნელს ამბავზედ სრულიად აენთო, მაგრამ ვერ გაჰბედა დატუქსვა,—ერიდებოდა არ ეწყინოსო. ასეთი მოქმედება რომ აღარ გაემეორებინა ჩვენს რაინდს, ნინა მეორე სკამზედ გადაჯდა, უნდოდა ამითი ეგრძნობინებინა არა-მკითხე ყმაწვილისათვის თავისი ეს სასიამოვნო საქციელი, მაგრამ ნიკოს ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის; ის ისევ მიუახლოვდა, კოცნა გაუხშირა და რაღაც სამარცხვინო აზრმაც გაურბინა თავში. უნდოდა ეს აზრიც გაეხორციელებინა, მაგრამ ნინამ ვეღარ შეიმაგრა თავი და მრისხანედ შესძახა: „რადგან შენ მაგნაირის საზიზღარის განზრახვით მოსდიხარ ჩემთან და მხოლოდ ჩემის შერცხვენის მეტი არაფერი სურვილი არა გქონია, გთხოვ ეხლავ აქედგან გაბრძანდე და შენს სიცოცხლეში აღარ გაჰბედო აქ მოსვლა! გასწით! ეხლავ გაბრძანდით გარეთ, თორემ ძალად გავაყვანინებ თქვენს თავს!.. ეს სიტყვები ისეთის კილოთი იყო წარმოთქმული, რომ ლომის ძალაც რომ ჰქონოდა კაცს, მაინც ძალა-უნებურად ქედს მოიხრიდა.

შერცხვენილი ნიკო ქურდივით გაიპარა ნინას სახლიდგან და სასწავლებლისაკენ გასწია.

ამხანაგებმა რაღაც ცვლილება შენიშნეს ნიკოს. ის ხმას აღარავისა სცემდა; მუნჯივით დადიოდა რამდენსამე დღეს. მაგრამ ერთის კვირის შემდეგ სრულიადაც აღარ აგონდებოდა ლამაზი ნინა. მხოლოდ ის-კი გაურბენდა ხოლმე თავში: „აი, დედასა, ვერ ჩავიგდე ხელში... ეს-ღა აგონდებოდა და იმეორებდა: „ვერ ჩავიგდე ხელში",—სხვა არაფერი.

ეგზემენების დრო მოახლოვდა. გავლილ საგნების განმეორებას შეუდგა ნიკო. ყოველს საგანში საშუალოდ დაიჭირა ეგზემენი. ნიკომ უკანასკნელი ეგზემენი ოც-და-ხუთს თიბათვეს გაათა-

გადოება თავისის კარგის ხმით, იმღერა ქართულიდგან „ორთავ თვალის სინათლევ“ და სომხურიდგან — „ოტარ ერკირ.“ ეს სიმღერები მართლა საუცხოვო რამ გამოვიდა, საზოგადოებაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და ქ-ნი ნეგრინ-შმიდტი ხანგრძლივის ტაშის კვრით და „ვაშას“ ძახილით იქმნა დაჯილდოებული. სხვა არტისტებმაც დიდის ხელოვნებით იმღერეს სომხური სიმღერებიდგან „ჰაზარ ერანი“, „კრუნკ“ და „დზაინ ტურ ოვწოვაკ“. დადგმთლი იყო ორი ცხოველი სურათი: ერთი ოსმალოს სომეხთა ცხოვრებიდგან, მეორეც საქართველოს ისტორიიდგან. პირველი სურათი წარმოადგენდა სომხების სოფელს ოსმალეთში, სადაც უეცრად მოიჭრებიან რამოდენიმე შეიარაღებული ქურთები და დაუწყებენ ჟლეტას ქალს, კაცს, დიდსა და პატარას. უიარაღო სოფლელები, რასაკვირველია, ვერაფერს წინააღმდეგობას გაუწევენ წინადვე მომზადებულს ავაზაკებს, რომელნიც რამოდენიმე წუთის განმავლობაში სრულიად ამოსწყვეტენ, მთელს სოფლელებს. ამ სურათმა თვალწინ დაუყენა საზოგადოებას ის ძალმომრეობა ლაგამ-წახსნილ ქურთებისა და ოსმალებისა, რომელიც დიდი ხანია ანადგურებს ოსმალეთის სომხებს და რომელმაც ამ ბოლოს დროს ისეთ საშინელს მდგომარეობაში ჩააყენა ისინი, რომ იძულებული ჰყო სხვა ევროპის სახელმწიფოებისათვის შველა ეთხოვნათ; ასეთი სურათის დანახვა ძლიერ ესიამოვნა საზოგადოებას და ეს სიამოვნება გამოჰხატა ხანგრძლივის ტაშის კვრით. მეორე სურათი წარმოადგენდა თავგანწირულს სიყვარულს მამულისადმი მებაირაღე სამ ძმა ხერხეულიძეთა დედისას. შარშანაც ეს სურათი გვქონდა დადგმული და როგორც მაშინ, ისე ეხლა განცვიფრებაში მოიყვანა საზოგადოება; მან დაინახა ბრძოლის ველი და ამ ბრძოლის ველზედ მეომართა შორის დედა მებაირაღეთა ხერ ხეულიძეებისა, რომელნიც იქვე ახლო ებრძვიან მტერს. რამოდენიმე წუთის განმავლობაში სამივე ძმა, სასიკვდილოდ დაჭრილნი მტრისაგან, დაეცემიან ბრძოლის ველზედ; ამის მნახველი დედა ივიწყებს სიყვარულს შვილებისადმი და მხოლოდ ერთის სურვილით არის გატაცებული, რომ ბაირაღი მტერმა არ ჩ იგდოს ხელში; იმის მაგიერად, რომ დაჭრილს შვილებს მოვლა დაუწყოს, ის ბაირაღს სტაცებს ხელს და ცდილობს არ დაანებოს არას გზით მტერს. რასაკვირველია, ასეთმა სანახავმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება; იგი, თითქოს ელექტრონის ნაკადულმა დაუარა ტანშიო, ფეხზედ წამოდგა და ჰსურდა დამტკბარიყო ასეთის სურათის ხანგრძლივის ცქერით. დასასრულ სცენაზედ გამართული იყო ლეკურისა და კინტოურის ცეკვა; ლეკურს თამაშობდნენ ქ-ბ. ბ. ტ—ისა, ვ—რი, ბ.ბ. გ—ლი და მ—ლი. უკანასკნელმა შესანიშნავად ითამაშა როგორც ლეკური, ისე კინტოური და საზოგადოების თხოვნით რამოდენიმეჯერ განიმეორა. შემდეგ გაიმართა ევროპიული ცეკვა, რომელმაც დიდხანს გასტანა; საღამო გათავდა დილის ხუთს საათზედ და საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაბრუნდა სახლში.

სტუდ. პ. კიკალაშვილი.

—

P. S. მოვალეობად ვრაცხთ უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ თ-დ ალექსი აკაკის ძეს წერეთელს, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ საღამოს გამართვაში და შეძლებისა დაგვარად შემწეობა აღმოგვიჩინა.

## ქართული თეატრი.

კვირა, 4 თებერვალი.

„უბრალოდ დასჯილნი“, კომედია ოსტროვსკისა 4 მოქმ., „გულმა იგრძნო“ ვოდ. 1 მოქმ.

«უბრალოდ დასჯილნი» ამ სეზონში ეს მეორედ წარმოადგინეს და, როგორც აფიშიდგან სჩანს, ამ პიესის გამეორება თვით საზოგადოების თხოვნით არის გამოწვეული, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ საზოგადოება ამ წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო. ბ-ნი მესხიშვილი ნეზნამოვის როლში ჩვეულებრივად მშვენიერი იყო და არა ერთხელ გამოიწვია მაყურებლების თვალებზედ ცრემლი, განსაკუთრებით კი უკანასკნელ მონოლოგის დროს, სამაგიეროდ, აბაშიძემ (აქტიორი შმაგა) იგივე საზოგადოება მრავალი აცინა.

ვოდევილმა „გულმა იგრძნო“ ჩინებულად ჩაიარა. ქ-ნმა საფაროვ-აბაშიძისამ თავისს თამაშობით ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ წლოვანება იმისს დიდს ნიჭს სრულიადაც არ შეჰხებია და რომ მას თამამად შეუძლიან წინანდებულის ცქრიალითა და კოპწიაობით შეასრულოს გასათხოვარი ქალის როლი. ყოველს მაყურებელს, მოხუცს თუ ახალგაზდას მისმა შეუდარებელმა მიხვრა-მოხვრამა და ლაპარაკის კილომ გული ერთნაირის გრძნობით აუტოკა, ყველას თვალ-წინ წარმოუდგა თავისი სიყმაწვილე, სიცელქე და დაუდგრომელობა, შეულახავის უმანკოებით სავსე. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ელექტრონულის სისწრაფით შესცვალა არტისტის მომხიბლავმა თამაშობამ საზოგადოების შთაბეჭდილება, დრამიდგან გამოტანილი. ამ დროს ყველას და ვიწყდა ნეზნამოვის ტანჯვანი, შმაგას ოხუნჯობა და თვითეული მაყურებელი ტკბილის ღიმილით შესცქეროდა სცენაზედ მოცელქე, თეთრს კაბაში კოპწიად გამოწყობილს არსებას, რომელიც თვით განხორციელებული სიცოცხლე იყო!..

დანარჩენი მოთამაშენი გულმოდგინედ უწყობდნენ ხელს ვოდევილის კარგად აღსრულებას.

ინზენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 თებერვალი.

**რომი.** 3 თებერვალი. იტალიის აგენტებს, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ სომხეთში მომხდარ უწესოების გაგება, ბევრი საყურადღებო ჩვენება ჩამოურთმევიათ სასუნში მომხდარ არეულობის დამსწრეთათვის.

გაზეთები ამბობენ, რომ ივნისში იტალიის ესკადრა ვიზიტს გადაუხდის ერთ-ერთს ინგლისის ნავთ-სადგურსაო.

**ლონდონი.** პეკინიდგან დეპეშით ატყობინებენ „Times“-ს, რომ ჩინეთში ახალის წლის დღეს სასახლეში დიპლომატიური კორპუსი მიიღესო. გარდა სხვა-და-სხვა ახლად შეტანილ ცვლილებისა დიპლომატთა მიღებაში, უცხო სახელმწიფოთა ელჩებმა მოითხოვეს, რომ საიმპერატორო სასახლეში უმთავრესს კარებიდგან შესულიყვნენო.

**შან-ჰაი.** როგორც ხმა დადის, ადმირალს ტინგს და კუნძულ ლიუ-კუნგტაოს ჯარების მეუფროსე გენერალთ თავი მოუკლავთ.

**ტიან-ძინი.** იმპერატორმა ლი-ხუნგჩანგს თვისი ღირსება და წოდება დაუბრუნა და მიუწერა დაუყოვნებლივ იაპონიას წავიდეს საქმის მორიგებით გადასაწყვეტადო.

5 თებერვალი.

**ბერლინი.** პარლამენტმა მიიღო წინადადება გერენისა, რომლითაც პარლამენტის თავმჯდომარის დისციპლინალური უფლება უნდა იქმნას გაფართოებული. ამ წინადადებას ეწინააღმდეგებოდნენ სოციალ-დემოკრატნი, ცენტრის ზოგი-ერთი დეპუტატები და სახალხო დასის წევრნი.

**ლონდონი.** ჩიფუდგან იტყობინებიან, რომ ვეი-ჰაი, ვეიში ჩინეთის სამსახურში მყოფნი ყველა უცხოელნი განათავისუფლეს იაპონელებმა გარდა ამერიკელის გოვისა; ამან თურმე ჩინელებს თვის მიერ გამოგონილი ასაფეთქებელი მიჰყიდა იაპონიის ფლოტის გასაწყვეტად.

შანჰაიდგან მოვიდა ხმა, ვითომ ინგლისი და რუსეთი ჩინეთსა და იაპონიის შორის შუამავლობას აპირებდნენ.

„Times“-ს ნამდვილად შეუტყვია, რომ ტინგმა თავი მოიკლა. ამ ჟამად ჩინელებს ერთად-ერთი გემი „შენგრუნი-ღა დარჩენიათ დაუზიანებელი.


# განცხადებანი

ახლად გახსნილი
თესლეულობით ვაჭრობა
**„ფლორა“**
მიხეილის ქუჩა, № 159. ტელეფონი № 52.
მივიღეთ სულ ახალი თესლი ყვავილებისა და ბოსტნეულობისა.
კატალოგი მსურველთ დაუყოვნებლივ და უფასოდ ეგზავნებათ.
ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: ტფილისი, „ფლორა“.
(5—904—3)

დიდი სააბრეშუმო ქარხნები
**მოლტიფაოში:** (კორსიკის კუნძულზედ, საფრანგეთში) **აბრეშუმის ჭიისა** ცელიულიარული **თესლი** (პასტერის სისტემით მომზადებული).
**ი. ალოიზისა.**
მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაიბარონ ტფილისიდგან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქ-ნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 39, თესლი ისყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეიკად.
(6—869—2)

ქვაშვეთის წმ. გიორგის პირდაპირ, ჯორჯაძისეულ ღვინის საწყობის ადგილას, მირიმანოვის სახლში, 1 იანვრიდგან გავაღეთ სარძევე და საყავე. აქ მუდამა გვაქვს სხვა-და-სხვა სითეთრე საკუთარის ფერმისა, მშვენიერის თვისებისა და მუდამ ახალი. აქვე მზადდება: ჩაი, ყავა (ოსმალური), შოკოლადი, კაკაო, ცივი სასმელები, ცხელი პიროჟკები და ბლინი. სადგომი შესდგება სამის დიდის, სუფთად და ახლად შეკეთებულის ოთახისაგან.
ფასები ჩვეულებრივია. (2—949—1)


---

ვა და სრულიად განთავისუფლდა „წვალებისაგან“; მოწმობა მიიღო, ეს ოთხის წლის ტანჯვა-ვაების და გაჭირვების მოწმობა, როგორც თითონ ამბობდა, და ორის წ ლის უნახავ მამასთან მიემგზავრებოდა.

აი ეს გახლავს ის ჩემი მეგობარი კაცი, რომელიც ჩემთან საუბრობს და რომელიც სოფლისაკენ მიეშურება, საიდგანაც იმედი აქვს, რომელსამე „კარგს“ სამსახურში შევიდეს.

ს. დავიწყებულში ევროპიულად ჩაცმული ახალგაზდა ყმაწვილი კაცი შედიოდა ცხენით, სწორედ იმ დროს, როდესაც მზემ თავისი სხივები ცაზედ შეათამაშაბმთის იქით გადასტყორცნა. სწრაფად გაიტაცა ის რამდენიმე დარჩენილი სხივებიც, რომლებიც შორს სადღაც ოქროს ფერად კიდევ ანათებდა აქა-იქ ღრუბლებს; მალე სრულიად მოაშორა შორს გაფანტული სხივები, თითქოს ენანება ხალხს ბუნების სილამაზე დაუტოვოსო! ორი წამის შემდეგ შავი ნისლი ჩამოწვა. სიბნელე ალყასავებრ ნელ-ნელა ეხვეოდა სოფელს. რამდენიც უფრო მეტი დრო გადიოდა, იმდენად სიბნელე მეტს ძალას იჩენდა. აგერ, აქა-იქ სანთლის შუქიც გამოჰკრთა სარკმლებიდგან. ზოგი-ერთს ეზო-ბაკეში გაისმოდა საქონლის ბღავილ-ჭყვიტინი.

ნიკო ცხენით მიუახლოვდა თავისს ეზოს სწორედ იმ დროს, როდესაც ზაქარიამ დაუძახა თავისს ბიჭს: „ე ღორი შეაგდე, ნუ ღრუტუნებ-ო“ ამ სიტყვების გათავება ვერ მოასწრო, რომ ცხენის ფეხის ხმა მოესმა. გაიხედა იქითკენ, საიდგანაც ხმაურობა მოდიოდა და სიბნელეში ევროპიულად ჩაცმული კაცი დაინახა. გასწია იმისკენ და თან ჰფიქრობდა, ნეტა ვინ უნდა იყოს ეხლა, ამ დროსა-ო.“ ცოტა რომ გაიარა, მგზავრის ხმა მოესმა: — გამარჯვება, მამავ! როგორა ხართ-ო?

— ოჰ, ჩემი შვილი, ნიკო!

გულზედ მიიკრა და რამდენჯერმე დააჰკოცნა.

ცხენი ბიჭს მისცეს და თითონ სახლში შევიდნენ. ზაქარია კარგა ხანს მუნჯსავით დარჩა და უკვირდა, რა მოსდიოდა: საცოდავი მამა თვალებს არ აშორებდა თავისს შვილს და გულში ჰფიქრობდა: — რა შვილი გამომივიდაო? სოფლის თვალ-მარგალიტია! სოფელში-კი არა დიდ ქალაქებშიაც ცოტა მოიძებნება ამისთანა ნასწავლი. ხუმრობაა, სწავლა ორს ალაგას გაათავა! მე კიდევ არაფრად ვაგდებ, თორემ როგორ მოვახერხებ ამის შესაქებს ღირს სიტყვებს, ეხლა ეს დიდი ვინმეა, ეხლა ხელმწიფის სწორი კაცია! აი დედაა, ბევრი არ ჩაიკრავს გულში ხელს: ნეტავი ჩვენც გამოგვივიდეს ასეთი შვილიო.“

დიდხანს იყო ზაქარია ამ ფიქრებით გატაცებული; ოცნებობდა, როგორ კარგად და მდიდრულად იცხოვრებდა ამის შემდეგ. „სოფელში ისეთ სახლებს გამოვჭიმავ, რომ ხელმწიფის სასახლეს ჰგავდეს. ეჰ, ჯერ რა დროს ამისთანაების ფიქრია! ჯერ უნდა ვკითხო, სამსახურში როდის შევა და მერე ხომ ყველაფერი ადვილია, ერთის სიტყვით, სამსახურში შესვლა და ჩემი შეძლების ზრდა ერთი იქმნება“-ო, ჰფიქრობდა ზაქარია.

— ჩემო საყვარელო შვილო, აბა ახლა რას იზამ? სამსახურში უნდა შეხვიდე?

— რასაკვირველია, სამსახურში უნდა შევიდე, უპასუხა მხრების აწევით ნიკომ.

— სამსახურში-კი, მაგრამ მალე იშოვი?

— სამსახურსა? თხოვნის მიცემა და, სადაც მე მინდა, სამსახურში მიღება ერთი იქმნება.

— კარგია, შვილო?!

იმ ღამეს ბევრი ილაპარაკეს მამაშვილმა. ღამის სამი საათი იყო, რომ ვახშმის ჭამას შეუდგნენ; გაათავეს თუ არა ვახშამი, ზაქარიამ შვილს უთხრა: „შენს წინანდელს ოთახში მოისვენე“-ო და კარებამდის სანთლით მიაცილა. მალე ყველანი ტკბილს ძილს მიეცნენ.

მეორე დღეს მამაცა და შვილიც გვიან ადგნენ; რასაკვირველია, შვილი უფრო გვიან, რადგან ძალზედ მოღალული იყო. ნიკოს ორს ძმას და დას, რომლებიც ბიძასთან იყვნენ ახლო სოფელში მიწვეულები, გაეგოთ თუ არა ნიკოს მოსვლა, დაეშურებინათ წამოსვლა, რომ თავისი „კურსოვნიკი“ ძმა ენახათ, რითაც ძალიან ამაყობდნენ. ამათ გამოჰყოლოდათ უშვილო ბიძა და ძალუა, რომელთა ურემიც ჭრიჭინით უახლოვდებოდა ზაქარიას სახლს.

მილოცვა და კოცნა გახშირდა. ნიკოს დასა და ძმებს სიხარულისაგან ცრემლები გარდმოსდიოდათ.

ერთს დღეს მამას უთხრა ნიკომ: - ჩემი აქ ყოფნა ამას იქით მეტი იქნება, იმიტომ რომ აქ ტყუილად დროს ვკარგავ, სამსახურში არ შევდივარო.

თუმცა ზაქარიამ უარი უთხრა: ჯერ ნუ წახვალო“, მაგრამ ნიკო თავისას არ იშლიდა და ამბობდა: — ხვალ, ან ზეგ უეჭველად უნდა წავიდეო.

როდესაც ბიძამ გაიგო, ნიკო სამსახურში წასვლას აპირებსო, უთხრა: „ჯერ იყავ, რა გეჩქარება? სულ ორი-სამი კვირაა რაც გაათავე და ეგრე მალე რას აშურებ სამსახურში შესვლასაო».

ძალუა და ძმებიც სთხოვდნენ დარჩენას, მაგრამ ნიკო მაინც გაიძახოდა: — უეჭველად ზეგ უნდა წავიდეო. რაღას იზავდნენ? ნიკო მტკიცედ ადგა თავისს აზრს.

საათის თერთმეტი იქნებოდა, როდესაც ძველ-ახალი ეტლი ზარების წკრიალით გამოდიოდა ს. დავიწყებულიდგან, რომელსაც უკან ორი ცხენოსანი კაცი მოსდევდა; ამ ეტლს ქ. მთიანისკენა ჰქონდა გზა, საიდგანაც ჩვენი ძვირფასი სტუმარი მატარებლით წავიდა სამსახურის საშოვნელად.

ნიკომ მალე იშოვნა სამსახური. მიართვა თუ არა თხოვნა, უფროსი დაჰპირდა მიღებას და უთხრა: „როცა გინდოდეთ, მობრძანდით ჩემთან, ჩემთვის სასიამოვნოა, ახალგაზდა განათლებული კაცი მყავდეს სამსახურშიო“. რასაკვირველია, ამის შემდეგ აღარ მოიცდიდა ნიკო სახლში და დააშურებდა „ფორმის“ ჩაცმას...

(შემდეგი იქნება.)

Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.